სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 თებერვალი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/22

2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების
შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ -ს სტუდენტური **საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/104 ბრძანებით), ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/105 ბრძანების, „ბსუ- სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის № 01-10/49 ბრძანების (ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N07-01/61 გადაწყვეტილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 13 თებერვლის №151743 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ში 2024 წელს განსახორციელებელი (15.04.2024-15.12.2024წ.) სტუდენტური პროექტების შერჩევის მიზნით (საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის) და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) **სტუდენტთა განცხადებების** (სტუდენტური პროექტების) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა -**2024 წლის 11 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით;**

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ **პროექტების შეფასება - 2024 სლის 01 აპრილიდან 08 აპრილის ჩათვლით;**

გ) სტუდენტური პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - 2024 წლის 12 აპრილის ჩათვლით;

დ) გამარჯვებული სტუდენტური **პროექტების განხორციელების პერიოდი - 2024 წლის 15 აპრილიდან 15 დეკემბრის ჩათვლით.**

2.**სტუდენტური პროექტების წარმოდგენა (რეგისტრაცია)** განხორციელდეს ელექტრონულად, ბსუ- პორტალზე - **Portal.bsu.edu.ge -ზე** (პროექტის ელექტრონულად ატვირთვა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ერთობლივად - საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით. პორტალზე არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროექტი ავტომატურად მოიხსნეს კონკურსიდან და აღარ გადაეცეს კომისიას განსახილველად, რაც წერილობით ეცნობოს პროექტის ავტორს და წარმოდგენილი იქნეს სამსახურებრივი ბარათი).

3. სტუდენტური პროექტის რეგისტრაციისთვის **ბსუ -ს პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) **საპროექტო განაცხადი** (შედგენილი <u>ბსუ- ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01 -08/39 ბრძანებით</u> (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/104 ბრძანებით) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

ბ) **სარეკომენდაციო წერილი** (პროექტს/ ავტორს რეკომენდაცია უნდა გაეწიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ, რომელშიც ასახული უნდა იყოს პროექტის მნიშვნელობა შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის);

გ) **სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);**

დ) **ცნობა ბსუ -ს სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;**

ე) საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში - პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) **აგრეთვე უნდა წარმოადგინოს** ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) პროექტში მონაწილე (ტრენერი, ექსპერტი ან სხვა პირი) პირთა „CV"-ები და თანხმობის წერილ(ებ)ი.

4. წარმოდგენილ სტუდენტურ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა აცნობოს პროექტის ხელმძღვანელს/პასუხისმგებელ პირს, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. სტუდენტური პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე ბსუ-ს კანცელარიაში წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად (CD დისკზე ჩაწერილი).

6. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი -,,კონკურსები:; ,,იურიდიული ცნობარი"-რექტორის აქტები) **წინამდებარე ბრძანება,** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ -ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილება,** „ბსუ- ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ -ს რექტორის **2018 წლის 16 აპრილის №01 -08/39 ბრძანება,** ბსუ -ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ -ს რექტორის **2022 წლის 03 მაისის № 01 -02/105 ბრძანება,** „ბსუ- ს სტუდენტური საპროექტო

განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციის და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ- ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2022 წლის 03 მაისის №01 - 10/49 ბრძანება.**

7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**